რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციცეროთი—5 კაპ., პატარა — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი მაისიდამ პირველ ივლისამდინ გაზეთი ღირს—2 მან., წლის დამლევამდინ—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ბერლინი, 25 მაისს.** Იმპერატორს აგონდება თავის მამის მიცვალების დღე და ამიტომ ცუდ გუნებაზედ არის. Ახლა Იმპერატორი უფრო დასუსტდა.

**ვენა, 26 მაისს.** „Polit. Corresp“.-ში იწერებიან: საბერძნეთის მმართებლობას იმედი აქვს, რომ ამ სახელმწიფოს წარმომადგენელსაც მიეცემა უფლება კონგრესზე მონაწილეობის მიღებისა; საბერძნეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრი Დელიანისი ბერლინში წავა და კონგრესის დროს იქ დარჩება.

5,300 პანდიელნი დაეცნენ პალსკისთან ოსმალებს და დაამარცხეს. Ამ გარემოებისაგან გამხნევებულ პანდიელებმა გადაწყვიტეს, რომ, სანამ საბერძნეთს არ შეუერთებენ იმათ ქვეყანას, მანამ თოფ-იარაღს არ დაჰყრიან.

**სტამბოლი, 27 მაისს.** Ოსმალეთის სამინისტროს რჩევამ გადაწყვიტა, რომ შუმლა დაუთმონ რუსეთს. Ვარნა და ბათუმი კი ოსმალების ხელში უნდა დარჩესო.

**ბერლინი, 26 მაისს.** Დღეს სასამართლომ გაარჩია აქ საქმე იმ პირთა, რომელთაც Იმპერატორის Ვილჰელმის მოკვლა განიზრახეს. Ორს ამათგანს ხუთი წლის ციხეში ჩამწყვდევა გადაუწყვიტეს, ერთს ოთხი წლით, ორს—ორი წლითა და ნახევრით, ერთს წლითა და ნახევრით; ერთის საქმეც გადადვეს, რადგან მოწმებს უნდა ჰკითხონ.

Შესაძლოა, რომ Გერმანიის პარლამენტი დათხოვნილი იქნება.

**ვენა, 27 მაისს.** Აქაური გაზეთების სიტყვით, Ავსტრიის მმართებლობამ მოახდინა განკარგულება, რომ მთელი ფლოტი მზათ იყოს სალაშქროდ წასასვლელად. Მართებლობის წრეებში კი ამტკიცებენ, რომ ეს ამბავი ტყუილი არისო. Ამბობენ, რომ კონგრესსის სხდომები დიდ ხანს არ გაგრძელდებაო: თუ სახელმწიფოების დანდობილნი პირნი უმთავრესს მუხლებში დათანხმდნენ, კონგრესი დანიშნავს ხალხთა-შორის ცალკე კომისიის; თუ არა და მაშინ უთანხმოება პირველსავე სხდომებზე აღმოჩნდება.

Ამბობენ, რომ Ინგლისი და რუსეთი მართლა ისე არ დათანხმებულან ერთმანეთში, როგორც ხმა იყოვო და ამის გამოც არისო, რომ თვითონ Ბიკონსფილდი მიდის კონგრესზედა. Ამბობენ ყველაზე პირველად კონგრესზედ Გერმანიის წარმომადგენელი წაიკითხავს სან-სტეფანოს მთელს მორიგების პირობას.

Მოლაპარაკება დაიწყო ხელ-ახლად იმაზედ, რომ საბერძნეთსაც ჰქონდეს ხმა კონგრესზე. Ამას გარდა Ავსტრიას რაღაც მოლაპარაკება აქვს სერბიასთან. Ღენ. Ფილიპოვიჩმა რამდენჯერმე ინახულა სერბიის მთავარი მილანი, მიტრაპოლიტი მიხაილი და სერბიის მინისტრები. Რისტიჩი ბერლინში მიდის; გზაზე ვენაში გაივლის და რამდენსამე დღეს დარჩება აქ.

**პეტერბურღი, 29 მაისს.** „Მმართებლობის მოამბეში“ იწერებიან: ხელმწიფე Იმპერატრიცა ციებით გახდა ავათა. Მეორე დღეს ანთებაც გამოაჩნდა. Ღამე არ სძინავს; დღისით ძილი ერევა. Ძალიან დასუსტებულია. Ციებისაგან ვერ განთავისუფლდა. Ხელ-მოწერილია: ლეიბ-მედიკი Ბოტკინი.

**ბერლინი, 27 მაისს.** Გერმანის Იმპერატორი დღეს კიდევ უკეთ არის.

**ვენა, 27 მაისს.** „Polit. Corresp“.-ში სწერია: სან-სტეფანოში იყო რუსის სამხედრო რჩევა. Გადაწყვიტეს, რომ სასტიკი განკარგულება მოახდინონ როდოპის მთებში აჯანყებულ პომაკების დასამშვიდებლად და აგრეთვე სასტიკად დასაჯონ როდოსტის ქრისტიანები, რომელთაც ბარბაროსულად აწამებს ადგილობრივი მაჰმადიანები.

Ოსმალეთის მმართებლობამ უარჰყო სადიკ-ფაშის დანიშვნა თავის წარმომადგინელად კონგრესზე; იმის მაგიერად დაინიშნებიან: Ყარა-Ტეოდორი-ფაშა და Მეჰმედ-Ალი-ფაშა.

# საქართველო

## დღიური

*** ჩვენმა სანიტარულმა კამიტეტებმა, როგორც ეტყობა, სახუმროთ არ მოჰკიდეს ხელი თავის საქმეს: რამდენიმე პრისტავი ამ კომიტეტებისა დილიდამ საღამომდინ დარბიან თუ ბაზრებში, მაღდნებზე და სახლების ეზოებში და სასტიკს ყურადღებას აქცევენ, რომ ყველგან სისუფთავე იქნეს და საცა მოგროვილი ნაგავი და სიბინძურეა, გადაყრილი იქმნეს. Რამდენიმე სახლის პატრონებს, ამათი ჩივილით, მომრიგებელ მოსამართლეებმა ჯარიმა და ზოგს საპყრობილეში ჩამწყვდევაც გადაუწყვიტეს. Ამას წინათაც მოვიხსენეთ და ახლაც ვიხსენიებთ იმ შესანიშნავ მოვლენას, რომ სიბინძურე და ნაგავი ყველაზე უფრო მომეტებულად მდიდარ სახლის-პატრონების მამულში მოიპოვება, ღარიბები კი უფრო ყურს უგდებენ კომიტეტის დარიგებას.

*** Კახეთიდამ გვატყობინებენ, რომ გასულ კვირაში რომ საშინელი წვიმა იყო, იმას იქითკენაც ბევრი ზიანი მოუცია სოფლის ხალხისათვის: Ქიზიყში და

იერის ხეობაში, სხვათა შორის, ნიაღვარს ბევრი ყანები და ვენახები წაულეკავს, გზები სრულებით გაუფუჭებია და სხვ.

*** გაზ. „თერგის უწყებებში“ იწერებიან, რომ იქ მისულა ბრძანება, გამოუცხადონ ხალხს, ვისაც ჰსურს ჩაიწერონ ახალს პოლკში, რომელიც თერგის ხეობის მთიულებისაგან უნდა შესდგეს და შემდეგ დასავლეთ რუსეთისკენ უნდა გაიგზავნოს.

*** ქალაქში ნამდვილი ზაფხულის სიცხეები დადგა. ამის გამო ამ უკანასკნელ დღეებში დიდძალი ხალხი გადადის სოფლებში და აგარებზე (დაჩებში). ამბობენ, რომ წელს აბასთუმანში ძალიან ბლომათ წავიდა ქალაქიდამ ხალხაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ზემო იმერეთი**, მაისის 23. აქ სამი კვირის წინეთ სოფელს ილემს მოვიდა ერთი ვიღაცა ურია, დაბინავდა ერთი კეთილშობილი კაცის ოჯახში და გამოაცხადა, რომ მე ექიმი ვარ და მკითხაობაც კარგი ვიციო.

სოფლის გაუგებარმა და ყრუ ხალხმა მოჰკრა თუ არა ყური ამ ხმას, კაცი თუ ქალი მიესივნენ ამ ურიას და აკითხვინებენ მათ საქმეს და ექიმობისთვის წამალსაც სთხოვენ ხოლმე.

ურია ზეპირ-მოთხრობით არ მკითხაობს, მას ჰქონია ერთი რაღაცა დაჯღაბნული დავთარი, რომელიც, როგორც მითხრეს, ასოებზედ ყოფილა დაწყობილი რაღაცა ოსტატურად. ურია შლის თავის დავთარს და თვითეულს სამკითხაოთ დახუჭვიებს თვალებს და ისე ადებინებს თითს ამ დაჯღაბნულს ქაღალდზედ; თვალ დახუჭული კაცი ან ქალი, რომელ ასოზედაც მიუთითებს ხელს, ურია იმ ასოზე დაწერილს სიტყვებს კითხულობს თავისებურათ: „ეე, ღმერთმა იცოდეს ეე, შენ ბედნიერი კაცი ყოფილხარ ეე, მაგრამ ამ მოკლეს დროში უბედურება მოგივა ეე, უმფროსი ვაჟი მოგიკვდება ეე, შენს ოჯახს ვიღაცა შურის თვალით უყურებს ეე,“ და სხვა.....

შეწუხებული და ჯავრისაგან გაშტერებული კაცი ეუბნება ურიას:

— რა საშუალება უნდა ვიხმარო, რომ ჩემი შვილი სიკვდილს გადავარჩუნო? ურია მოღრეშილი და თითქო დარდში ჩავარდნილი უპასუხებს:

— ერთი ხუთიოდე მანეთი მომეცი და იმისთანა წამალს მოგცემ, რომ შენს შვილს თავის დღეში არა გაუჭირდეს-რა.

ეს უცნური კაცი მართლა უჯერებს და თუ იქ ხელად არ დაესწრო მისაცემი საექიმო ფულები, გარბის, ვალს იღებს და აძლევს ამ მკითხავს. ურია ერთ აბაზს სამკითხაოს იღებს და წამლის ფასი შერიგებაზედ არის დამოკიდებული.

ურიას მოსვენება არ აქვს: რაც ხანი აქ არის, მიდიან ქალები თუ კაცები და აკითხვინებენ; ზოგს ეუბნება, თავისი დავთრის შემწეობით, შენ ეზოში ჯადო არის დამარხული და იმითი ხდებით ავათაო; ზოგს აჯერებს, რომ შენს სახლში არის ისევ შენი მოღალატე კუდიანი და ის გიკლავს შვილსაო; ზოგს ელაპარაკება, ავათმყოფი გყოლია და თუ ჩემი წამალი არ დაალევინე და ერთი გოჭი ან დედალი არ შემოავლე თავზე, არ მოგირჩებაო და სხვ. ამისთანა ეშმაკობით ბევრი ცხვარი ხალხი გაკრიჭა ამ ურიამ; ვისაც შეუძლია და არ შეუძლია, ყველანი აძლევენ ვინ ერთს თუმანს, ვინ ნაკლებს და ზოგი მეტსაც.

როგორც შევიტყვე, ეს ურია სოფელს ვარძიას ერთ ვიღაცა მღვდელსაც კი მიუპატიჟებია თავის ოჯახში სამკითხაოთ. . კარგი მაგალითია ხალხისათვის!

ამგვარი ექიმობით და მკითხაობით ურიამ თითქმის აგერ სამას მანეთამდის შეაგროვა ფულები და თუ კიდევ ერთი თვე მაინც დარჩა ამისთანა ყრუ ხალხში, ისე შენი მტერი, როგორც ამან ეს სოფელი გააციოს და თვითონ კი ლაზათიანათ ჯიბე გაიტენოს.

დ. რ. ბორგაძე.

# ომის ამბები

## კონგრესსი

ინგლისური გაზეთი „Daily News“ გვაცნობებს შემდეგ ამბავს:

„ოსმალეთის მთავრობას მიუვიდა ნამდვილი ამბავი, რომ ინგლისი და რუსეთი ამ პირობებზე დათანხმებულან დაწესება დამოუკიდებელ ბოლგარიისა,— თესალია, ეპირი და კანდია საბერძნეთს შეუერთდება,—სერბიასა და ჩერნოგორიას, ავსტრიის თანხმობით, მიეცემათ ბინები,—ოსმალეთის ყველა დანარჩენ პროვინციებს მიეცემათ ავტონომია (თვითმართველობა) და ამ რეფორმების შესრულებას ევროპიის სახელმწიფოებისაგან დანიშნული კომისია უგდებს ყურს.“

გაზ. „Presse„-ში დაბეჭდილია ბერლინიდამ მიღებული დეპეშა;

„ყველა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც პარიჟის 1856 წლის ტრაქტატზე აქვთ ხელი მოწერილი, მოუვიდათ 23 მაისს გერმანიის მმართებლობისაგან დაპატიჟება, რომ 1(13) ივნისს შეიკრიბნენ ბერლინში, რადგან ამდღეს იქნება პირველი სხდომა კონგრესისაო.“

„Indep. Belge“ გვაცნობებს, რომ კონგრესს სულ რვა სხდომა ექნებაო და იმედი აქვთ, რომ სამი კვირის განმავა-

# ფელტონი

## ლონდონის მაწანწალები *)

(ნათარგმნი მოთხრობა)

(გაგრძელება)

### რ ე გ ვ ე ნ უ რ ი კ რ ე ბ ა.

ყველა ეს წვრიმალი ამბები შევიტყე ერთი დაგვიანებულის მაწანწალასგან, რომელიც გავიცანი ჩემის ერთ ღამეს გარეთ სიარულში, ის გვიან მოსულიყო და ღამის გათევის ნება ვერ აეღო; როდესაც შევხვდი, საშინელის სიტყვებით სწყევლიდა თავის ბედს.

შემდეგ ღამეს მე მოვიწადინე შესვლა ერთ-ნაირ სახლში.

მიველი ხუთს საათზე, ერთი საათით გაღების უწინ. იქ უკვე იყვნენ უკანასკნელი ოც-და-ხუთი კაცი კარებზე გარე შემორტყმული. იმათ მიმიღეს მე სიცილით და მირჩიეს, რომ სხვაგან წავსულიყავი; მაგრამ ფეხი არ მოვიცვალე.

ექვს საათზე კარი გაიღო და ყველანი შეცვივდნენ. ზედამხედველი იდგა კარის შესავალში დაიარაღებული ერთი უშველებელი ჯოხითა; ვინც ძალათ შესვლას მოინდომებდა, ის სცემდა იმ ჯოხითა. როცა ჩემი ჯერი მოვიდა, ხალხმა მოიხმარა ძალა, რომ შიგნით შესულიყვნენ; მაგრამ იმდენი იყვნენ, რომ იმ თავშესაფარებელ ადგილში არ დაეტეოდა და მე წამათრიეს წინ...უეცრად ზედამხედველის ჯოხი დეეშვა ჩემს თავზე. ჩემდა საბედნიეროთ მე მქონდა მაგარი ქუდი, რომელმანც დამიფარა. მაგრამ ის კაცი, რომელიც ჩემს უკან იმყოფებოდა, ამნაირათ ვერ გადურჩა: იმან აიშვირა მკლავი, რომ აეცილებინა ჯოხი და ხელზე მოხვდა ჯოხი.

ჩვენ წაგვიყვანეს ერთათ, როგორც ცხვრის ჯოგი, სხვა ზალაში, რომელიც ძალიან ცივი იყო, და დაგვირიგეს ერთი პატარა პური და ქაში; დაგვსვეს ერთ ხის საჯდომზე, რომელიც ზალის გარეშემო იდგა და იქიდგან. შევყურებდით დაკვირვებით ამ ხალხს.

*) „დროება“, № 94, 102.

ობაში ის გაათავებს თავის საქმესო.

—

ვენიდამ ზემოხსენებულსავე გაზეთში იწერებიან:

„ამბობენ, გერმანიამ პირობა მისცა ავსტრიასო, რომ კონგრესსი დააკმაყოფილებს ყველა იმას მოთხოვნილებას აღმოსავლეთის საქმების გადაწყვეტის დროს. ყველამ დიდის კმაყოფილებით მიიღო აქ ის ამბავი, რომ კონგრესზე თვითონ ლორდი ბიკონსფილდი დაესწრება.

—

ჩვენს ოფიციალურის გაზეთში გამოცხადებულია, რომ იმერეთისა და გურიის ქვეითა დრუჟინების უფროსად დაინიშნება ღენ.-მაიორი შალიკოვი.

---

**ოქუმი**, 17 მაისს. ვილაცა მამაცხონებულს აეწერა „დროების“ № 76-ში ზუგდიდამ სამურზაყანელი მილიციების გაჭირვება ომის დროს, და ეხლა ჩვენ ვიტყვით რა ამბავი მოხდა ამის თაობაზედა; მაგრამ თავიდან დავიწყებთ, თუ-არ მოწყინდებიან ჩვენი მკითხველები:

შარშან იანვარში 1877 ამოირჩიეს პირველი სოტნა 130 კაცი და ეძლეოდათ მათ 14 მანეთი (პორციონი, ფურაჟი და ჯამაგირიც ეს ჰქონდა ერთ კაცს უბრალო მილიციონერს;) თებერვალში გამოიყვანეს მეორე სოტნა, მარტში და აპრილში გამოიყვანეს სამი სოტნა, ასე რომ მაისის ბოლომდინ გამოაწყეს ცხრა სოტნა და ამ ნაირად სულ ერთიანად შეიქნა 14 სოტნა.

თითოეულს მილიციონერს დაურიგეს ჯამაგირად ოც-და-ერთი მანეთი. ამ დროსა სოტნებში ერთი კაცი არ აკლდა: ეს 14 სოტნა სრული ანგარიშით იყო აგვისტოს თვემდინ.

აგვისტოში, როცა აბხაზები წავიდნენ, ყოველი სოტნიდან დაუთხოვიათ 60-კაცი და დარჩა სოტნაზე 70 კაცი ამ 1878 წლის ათ იანვრამდინ. ათ იანვარს დაითხოვეს 8 სოტნა და დარჩა ექვსი (6) სოტნა (70 კაცი სოტნაზე).

მართალია, როგორც ხსენებულ კორრესპონდენციაში სწერია უბრალო მილიციონერებს აკლებდნენ ჯამაგირს: ზოგიერთს ნახევარი, ზოგიერთს მესამედი ნაწილი თვის ჯამაგირისა ეძლეოდა; მართალია, ზოგი ერთი მთელი თვის ჯამაგირსაც არ მიიღებდა . . . .

გასრულ წელში მოვიდა აქ რევიზორი. ამ პირის მოსვლის წინეთ პოლკის კამანდირებს სოტნის კამანდირებისათვის მიუციათ დარიგება, რომა, თუ იკითხა მან რა ეძლევათ, როგორ არიან მილიციებიო, სოტნამ უნდა ჰსთქვასო: ჩვენ კმაყოფილი ვართ ჩვენის უფროსებისაო და გვაქვს თვეში ჯამაგირათ 10 მანეთი პარციონი $3^1/_2$ მანეთი, თივა $10^1/_2$ ფუთი და სიმინდი $7^1/_2$ ფუთიო. მილიციებმა პირველათ უარი უყვეს: ჩვენ ვიტყვითო სიმართლესაო, მაგრამ მერე ისევ დაუთანხმდნენ.

როცა მოვიდა რევიზორი, სუყველა სოტნამ როგორც დარიგება ჰქონდათ, ისე მოახსენეს; მხოლოთ ერთმა სოტნამ გამოაცხადა ნამდვილი. მაგრამ რევიზორი როდესაკ ის გაისტუმრეს სოტნას მისცეს საყვედური და მთქმელი პირი ნაობახტში ჩასვეს.

ეს საჩივარი და გულნაკლულება რამოდენმა პირმა გააგებინა უფალ არაკინსა ხელ-ახლათა.

ახლა პოლკის კამანდირებმა გამოაუცხადეს მილიციებს, რომ მათი დაშთენილი ფული არის ოცი ათასი მანეთიო და თქვენი ე. ი. მილიციების სასარგებლოთ ბანკში ჩადევითო და ისარგებლეთო!

ეს ამბავი რომ გაიგეს 17 მაისს იყო შეყრილობა თავი კაცებისა. ერთმა მხარემ. სთქვა:

ჩვენ ვიყავით ომის დროს დიდს გაჭირვებაში, ვიხოცებოდით შიმშილით, ცოლ-შვილს ვართმევდით თავიანთ საზდოსა და იმით ვიყავით ჯარში; ცხენები გვეხოცებოდა შიმშილით და თითქმის ყოველ თვეში ვყიდულობდით ცხენებს, ფული ეხლაც მართებს ზოგი ერთი ერთსა, ჩვენ ვჩიოდით ჩვენ გაჭირვებასა: არ გვეყოფა პატარა ჯამაგირი და მომატებას ვთხოულობდით. მაგრამ მაგიერი პასუხი ის იყო, რაც ხაზინიდამ მოდის, იმას გაძლევთო. ეხლა ამბობენ, ოცი ათასი მანეთი მიიღეთო. ამ გაჭირვების დროს ოცი ათასი კი არა, ერთი ათასიც ძალიან შემწეობას მოგვცემდა; ეხლა რადგან ასე არის საქმე, ჩვენ უნდა შევიტყოთ, სად იყო ეს ფული ეხლამდისო. მეორედ, უნდა შევიტყოთ— რა დახარჯულა ხაზინიდამ ჩვენთვის.

ამათ უპასუხა მეორე მხარემ:

რათ გვინდა ან რას მოგვიმატებს ამის შეტყობა! ჩვენ მივიღოთ ის ფული და ბნაკში შევდოთ!

გამოვიდა მესამე მხარე და სთქვა:

ჩვენ არც ძეზნა გვინდა, არც ბანკში შეტანა, თუ ჩვენია ჩვენ ჩავიბაროთ და დავინაწილოთ.

შეიქნა ერთ უთანხმობა, ყიყინი და ვაი-ვაგლახი. მაგრამა ბოლოს დათანხმდენ, რომ ჩაიბარონ ფული და დაინაწილონ ვისაც ერგებოდეს.

ამ ოთხ-ხუთ დღეში მოელიან ვილაცა ინსპექტორსა, და რა ამბავი მოაქვს, არ აციან.

გ. ზვარბათი.

---

გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია უფ. გ. წერეთლის კორრესპონდენცია, რომელშიაც ავტორი ასე აგვიწერს თავის გამოსტუმრებას ბათუმიდამ მუშირის დერვიშ-ფაშის ბრძანებით:

„—ფრანცუზულად ლაპარაკობო? მკითხა. მე უპასუხე დიახ-მეთქი.

„შემდეგ მკითხა. საიდამ მოხველი აქაო?

„—მე მინდოდა ციხის-ძირიდამ მივსულიყავ ბათუმში, მაგრამ არიფ-ფაშამ ნება არ მომცა, და ამის გამო ფოთში დავიჭირე ნავი და იმით მოველი.

„—ახლანდელს გარემოებაში მე არ შემიძლია ნება მოგცეთ თქვენ აქ დარჩენისა. ბათუმში ბევრი ხალხია ამ ჟამად მოგროვილი, ვინ იცის რა შეგემთხვევათ. ამას გარდა თქვენ ბილეთსაც არ ვერწმუნები.

„—აქ წამოსასვლელი ბილეთი მომცა მე ქობულეთის ატრიადის უფროსმა ღენ. ნურიდმა.

„— მე ვიცნობ მარტო ღენ. ოკლო-

---

მ ა წ ა ნ წ ა ლ ი ს  ს ა წ ო ლ ი.

აქ იყვნენ ორმოც-და-ათამდის, ცხრამეტი წლიდგან სამოც წლამდის და ამას დარწმუნებით ვიტყვი, რომ არცერთს მათგანს ერთ დღეს არ უმუშავნია პატიოსნათ, არც იმუშავებს რა გინდ ბევრი საქმე იშოვებოდეს. ვახშამი რომ გათავდა, დაწოლის რიგს მიჰყვეს ხელი, გაგვიყვანეს გარეთ ორ-ორი და გვიბრძანეს, რომ სრულებით გავტიტვლებულიყავით; გამოგვართვეს ჩვენი ტანისამოსი და მაგივრათ მოგვცეს ფანელის გძელი პერანგი. შემდეგ ჩავიცვი პერანგი და ჩავწექ ლოგინში.

ჩვენს ქვეშაგებს შეადგენდა: ერთი თხელი ბზის დოშაკი, მასთან ზედ ერთი თხელი საბანი და ამათზედ გადახურული ერთნაირი ტყავი, რომელიც ჰგავანდა ძველს ფარდაგს. იმითი სრულებით ვერ გათბებოდა კაცი.

მე გავიტანჯე მთელი ღამე; მეორებმა კი ისე დაიძინეს, თითქო ჩაწოლილნი ყოფილიყვნენ ბუმბულის დოშაკში.

როდესაც ზედამხედველმა გარეთ გასვლა დააპირა, ყველამ გაიხადა თავიანთი პერანგი და ისე დაიძინეს მამა ადამის შემოსით...

გათენებამდინ აგვაგდეს ლოგინდამა ჩვენი ტანისამოსი უკან დაგვიბრუნეს პური და წვნიანი ქაში და ყველა გაგვყარეს გარეთ; იმ დღეს საშინლად ციოდა და წვიმდა.

ქ უ ჩ ა,  ქ უ ჩ ა,  დ ი დ ი  ქ უ ჩ ა!

აგერ კიდევ დავრჩი ქუჩაში უთავშესაფარებელო ადგლით. ლონდონის ქალაქი ცუდი ქალაქია იმისთვის, ვისაც ვერ მოუხერხებია თავ შესაფარებელი ადგილის შოვნი. რკინის გზის სტანციები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სალონები დაკეტილია იმ ნაირ კაცისთვის, რომელსაც დაფლეთილი ფეხსაცმელები აცვია და ძონძებში გახვეულა; იმას მარტო ერთი ადგილი იქვს, სადაც შეუძლიან დაისვენოს: ქუჩა; და ამასთანავე იმას არა აქვს მოქალაქობის უფლება; იმას მხოლოთ ცხოვრების ნებას აძლევენ;—ეს არის ყოველი მისი უფლება!

პ. მ—შვილი

ბჟიოს. მაგრამ იმის ბილეთითაც ვერ მოქცემთ აქ დარჩენის უფლებას და მით უმეტეს მოგზაურობის ნებასა.

„— მე ვარ გაზ. „Голосъ“-ის კორრესპონდენტი და მსურს მხოლოთ ეტნოგრაფიული და გეოგრაფიული ცნობები შევკრიბო.

„— ვინ მეყოლება თავდებათ, რომ სხვა გვარი ცნობებიც არ გაუგზავნოთ იმ თქვენ გაზეთს. კორრესპონდენტი არ გვეჭირება ჩვენ აქ.. რას იტყოდა ნეტავი თქვენი ღენ. ოკლობჟიო, მე რომ ფოთში გამეგზავნა კორრესპონდენტი?..

„შემდეგ მუშირმა შეჰმუხვნა წარბები და მითხრა:

„— თ უ გ ნ ე ბ ა ვ თ, მე დაგიჭერთ ნავს, გაგაყოლებთ კაცს და ჩურუქ-სუჯდინ მიგიყვანენ. იქიდამ თქვენს ბანაკში გადახვალთ ხელ-უხლებლად.

„ეს სიტყვები ისეთის კილოთი იყო ნათქვამი, რომ მე ხმა აღარ ამამღებოდა. გამოვეთხოვე; გამომაყოლა აფიცერი და წამოველ.“

## განცხადებანი

უფროსის კლასის გიმნაზიელს სურს აძლიოს გაკვეთილები პროგიმნაზიის საგნებიდამ.

მსურველს შეუძლია ადრესსი იკითხოს ფოჩტაში, ჩინოვნიკ შაშელთან.

(5—1)

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ვისაც სურს მოიპოვოს **ახალი ქვერი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. პავლიდვილს, (კუკიაში, ელისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კვერების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

### გამოვიდა და ისყიდება
### „ცოლი ვიტირო, თუ ფული?“
კომედია ალ. თ უ თ ა ე ვ ი ს ა

**ისყიდება:** ქ ა ლ ა ქ შ ი—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თ ე ლ ა ვ ს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქ ა რ ე ლ ს—დავით ქეროჩაშვილთან, ხ ა შ უ რ ი ს ა და ბ ე ჟ ა თ უ ბ ნ ი ს უჭეტში, ს უ რ ა მ ს — ზაქარია არუწოვთან, ქ უ თ ა ი ს ს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერაძესთან ფ ო თ შ ი—ელისბარ ბაბალოვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ს—თ. ივ. თაქთაქოვთან, ს ა ქ ა შ ე თ ს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გ ო რ შ ი—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

### გატონისშვილი
#### ირაკლის პირველი დრო
#### ანუ თავდადება ქართველთა
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგინ.
ფასი ექვსი შაური

### ქუთაისში
### ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) **დედა ენა**, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

## ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-და-პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭირებათ, რომ ამ **ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაგირისა, კარეტის და ფაეტონებისა, ჩექმებისა ლანჩა და სხვ.**

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტორაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვეთოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, სიონის პირ-და-პირ.

| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 29 მაისს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 50 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | 20 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 20 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 99 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 80 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | — |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

### თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ქიუჩარიანც—ხირურგი, გ.რალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და გახუტონი—ბებიაობის თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—ქალის და ობრეხტი—კბილის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. გახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რე ხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Мая 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.